№6

ივნისი, 2022წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

ბოლნისის თეატრი 80 წლისაა

გვ:4-5

მიხეილ ჩხენკელი ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრის საქმიანობას გაეცნო

გვ:2

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, თეა ახვლედიანი ბოლნისს ესტუმრა

გვ:3

მიხეილ ჩხენკელი ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრის საქმიანობას გაეცნო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩთან ჰუბერტ ქნირშთან ერთად ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრის საქმიანობას გაეცნო

მიხეილ ჩხენკელმა და ჰუბერტ ქნირშმა ცენტრი დაათვალიერეს, სასწავლო კურსებს გაეცნენ და ზრდასრულთა განათლების ცენტრის მსმენელებს გაესაუბრნენ.

ვიზიტის ფარგლებში, ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ხელმძღვანელმა ირმა ზურაბაშვილმა სტუმრებს ცენტრის საქმიანობის შესახებ მომზადებული პრეზენტაცია წარუდგინა. ღონისძიების დასასრულს კი მინისტრმა და ელჩმა ცენტრის კურსდამთავრებულებს სპეციალური სერტიფიკატები გადასცეს.

ღონისძიებას ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ვალენტინა ნავერიანი და ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნონა რეხვიაშვილი ესწრებოდნენ.

DVV International-ის დაფინანსებითა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ქალაქ ბოლნისში ზრდასრულთა განათლების ცენტრი 2021 წელს გაიხსნა. ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრის კონცეფცია გერმანულ მოდელს ეყრდნობა და ის მსმენელებს 15 სხვადასხვა სასწავლო კურსს სთავაზობს. ცენტრი ასევე 2 კლუბს, ანალგაზრდულ მიმართულებასა და სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრსაც აერთიანებს.

ტანძიაში „საბაობა 2022“ აღინიშნა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანძიაში „საბაობა 2022“ გაიმართა. დიდი ქართველი მწერლის, დიპლომატის, მეიგავის და სასულიერო პირის 364 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება ლექციით დაიწყო, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობასა და საქართველოს ევროპული არჩევანის ისტორიულ კონტექსტს ეხებოდა. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა, სტუდენტებთან ერთად, 300 წლის შემდეგ, ევროპისკენ მიმავალი ის გზა გაიარა, რაც ელჩმა და დიპლომატმა, სწორედ ამ მოგზაურობის მნიშვნელოვანი დეტალების გაცნობა მოხდა საზოგადოებისთვის საჯარო ლექციაზე.

საბაობისადმი მიძღვნილი ღონისძიება განსხვავებული ფორმატით ჩატარდა, რომელსაც ბოლნელი მთავარეპისკოპოსი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე, ადგილობრივი ხელისუფლებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მათ კიდევ ერთხელ გაიხსენეს საბას განვლილი გზა, შემოქმედება და დიპლომატიური მოღვაწეობა.

,,საბას ღვაწლი ჩვენი ერის და სახელმწიფოებრიობის წინაშე შეუფასებელია, ვფიქრობ, ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დაფასებული მისი სამწერლო, დიპლომატიური თუ სამეცნიერო მოღვაწეობა, თუმცა საქართველოს მოსახლეობამ ძალიან კარგად იცის, რომ ის იყო უდიდესი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, მთარგმნელი და გარდა ამისა, პირველი, ვინც შეეცადა, დიპლომატიური მისიით წასულიყო ევროპაში და საქართველო ყოფილიყო იქ, სადაც მისი ისტორიული ადგილი იყო. ეს მცდელობა არ ყოფილა წარმატებული, იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობის გამო, მაგრამ ნათლად ასახავს ჩვენი ხალხის და იმდროინდელი საზოგადოების სწრაფვას ევროპისკენ, ცივილიზაციისკენ“, განაცხადა ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ კახაბერ კობერიძემ.

ბოლნელმა მთავარეპისკოპოსმა ეფრემმა ორბელიანების საგვარეულო ეკლესიაში სულხან-საბა ორბელიანის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა და მის ღვაწლზე ისაუბრა.

ღონისძიების დასასრულს, კულტურის ცენტრის ხელმძღვანელმა სულხან-საბა ორბელიანის სახლ-მუზეუმის თანამშრომლები, გაწეული შრომისთვის, მადლობის სიგელებით დააჯილდოვა. წიგნთა ფონდს კი საბას შემოქმედებიდან რამდენიმე ახალი წიგნი გადასცა. „საბაობა 2022“-ს მუსიკალურად დუეტი „გვანცა და ვიქტორია“ კლავიშისა და ვიოლინოს აკომპანიმენტით ალამაზებდა.

,,ისტორიულ სოფელ ტანძიაში, დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, პირველი ქართველი ელჩის, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურულ მუზეუმში სახალხო დღესასწაული ,,საბაობა“ აღვნიშნეთ. ყველას გვეამაყება ის ფაქტი, რომ, სწორედ ჩვენს მუნიციპალიტეტში დაიბადა ისეთი ღვაწლმოსილი პიროვნება, როგორიც სულხან-საბა ორბელიანი იყო.

ამ დიდებული მოღვაწის მეშვეობით ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში შევეცადეთ, ევროპაში ჩვენი ისტორიული და კულტურული ადგილი დაგვემკვიდრებინა, სწორედ საბას უკავშირდება ქართული ენის მრავალფეროვნების წარმოჩენა, სამოგზაურო-მემუარული ჟანრის ჩვენს რეალობაში შემოტანა და იგავ-არაკების განვითარება.

ახლა, როცა ასე ახლოს ვართ ევროპასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სულხან-საბა ორბელიანის ღვაწლის დაფასება, მან საკმაოდ გრძელი და ურთულესი გზა გაიარა ევროპამდე, რათა წარმატება მოჰყოლოდა მის პოლიტიკურ მოლაპარაკებას ევროპელ ლიდერებთან. სამწუხაროდ, საბას მცდელობას მაშინ შედეგი არ მოჰყოლია, თუმცა ქართველ ერს, არც ერთი დღე არ შეუნელებია სწრაფვა ევროპულ ფასეულობებთან დაახლოებისკენ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ,,საბაობას“, ამ დიდებული ადამიანის მიერ განვლილი გზა სამაგალითოა თითოეული ქართველისთვის, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს სამშობლო და ყოველდღიურად ვფიქრობდეთ ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე,“განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით შერაზადიშვილმა.

ბოლნისელი მევენახე - მეღვინეები ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მეთოთხმეტე საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობდნენ

კომპანია RMG - ის მხარდაჭერითა და ბოლნისის აგროცენტრის ორგანიზებით, ბოლნისელი მევენახე - მეღვინეები ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მეთოთხმეტე საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობდნენ, რომელიც საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით ექსპოჯორჯიაში 10 - 12 ივნისს ჩატარდა.

WINEEXPO GEORGIA - მიზნად ისახავს ქართველ მწარმოებლებსა და უცხოელ ექსპორტიორებს შორის პარტნიორული ურთიერთობების წახალისებას, ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაციის, საექსპორტო პოტენციალისა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

აღსანიშნავია, რომ დამთვარიელებელს 3 დღის განმავლობაში შესაძლებლობა ჰქონდა დაეგემოვნებინა საუკეთესო ღვინო, ალკოჰოლური სასმელები, შეხვედროდა მეღვინეებს და გაცნობოდა ბოლნისური ღვინის კულტურას და მასთან დაკავშირებულ სიახლეებს.

ღონისძიების ფარგლებში გამოითქვა ახალი იდეები და მოსაზრებები კიდევ უფრო აქტიური ურთიერთობების დასამყარებლად აგროჰაბსა და მეღვინეებს შორის. ამასთან, აღინიშნა ბოლნისური ღვინოების მზარდი დინამიკა და დადებითად შეფასდა არსებული პროგრესი, რაც მეღვინეებმა მოკლე პერიოდში განახორციელეს.

ღონისძიების დასასრულს, ExpoGeorgia - სა და საქართველოს სომელიეთა ასოციაცია • Georgian Sommelier Association ის ერთობლივი პროექტი - ღვინის ჯილდო „სომელიეს არჩევანი“ გაიმართა. „სომელიეს არჩევანი“ WinExpo - ზე წარმოდგენილ ღვინოებს შორის ფასისა და ხარისხის შეფარდების მიხედვით საუკეთესო ღვინოდ დასახელდა:

Mukhiguli - Rkatsiteli - White Dry

Brother's Cellar - Saperavi - Red Dry, Qvevri

Bates Marani - Saperavi - Red Dry

Bolnisis Golden fleese - Tavkveri - Red Dry

ხოლო კონკურსმა Marketer's Choice,

დიზაინის, მარკეტინგისა და საგამოფენო საქმიანობის სპეციალისტებისგან დაკომპლექტებულმა ჟიურიმ, მონაწილე კომპანიათა ღვინო კომერციული ბაზრისთვის მიმზიდველობის მხრივ (შეფუთვა, მარკეტინგული კომუნიკაცია, შეთავაზებები და სხვ.) შეაფასა და მათ შორის საუკეთესო ,, Shalos Marani" გამოავლინა.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, თეა ახვლედიანი ბოლნისს ესტუმრა

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თეა ახვლედიანმა, ქვემო ქართლის რეგიონში ორდღიანი სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ქალაქ ბოლნისში სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ საინფორმაციო კამპანია გახსნა.

სახელმწიფო მინისტრმა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში შეკრებილ საზოგადოებასთან საუბრისას აღნიშნა, რომ საინფორმაციო კამპანიები უფრო ფართო მასშტაბებს მიიღებს და მათ შორის მოიცავს სახელმწიფო პროგრამების, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის, ანტიდასავლური პროპაგანდისა და დეზინფორმაციის შესახებ ისეთ საკითხებს, რომლებიც განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენენ სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესზე.

ვიზიტის ფარგლებში თეა ახვლედიანი სოფლების: ტალავერის, ქაპალასა და ნახიდურის მოსახლეობასაც შეხვდა. სახელმწიფო მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება, სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, მაქსიმალურ ძალისხმევას განაგრძობს, რათა ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობები, ფლობდეს ინფორმაციას ყველა აქტუალური საკითხის შესახებ და სათანადოდ იყოს ჩართული მნიშვნელოვან პროცესებში.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში თეა ახვლედიანის ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე შოთა რეხვიაშვილი და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ვალენტინა ნავერიანი დაესწრნენ.

ბოლნისის თეატრი 80 წლისაა

დღე, რომელიც სათავეს შორი წარსულიდან იღებს საზეიმოდ აღინიშნა, შემოქმედებითად მდიდარი ისტორიის ამსახველი კადრები თეატრმა გამოფენით გააცოცხლა. მრავალწლიანი მოღვაწეობა დასს საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მიულოცა.

,,ბოლნისის თეატრს შეუსრულდა 80 წელი. სამინისტროს და თეატრალურ საზოგადოებას დიდი სიხარული გვხვდა წილად, რომ ჩამოვედით ბოლნისში და ჩვენს შესანიშნავ დასს, სამხატვრო ხელმძღვანელს, თითოეულ იმ ადამიანს ვინც ამ თეატრის დღემდე მოყვანაში, დიდი ტრადიციების შენარჩუნებაში მონაწილეობდა მათთვის მიგველოცა ეს მნიშვნელოვანი დღე", განაცხადა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ღვაწლმოსილი ხელოვანები დააჯილდოვა

გზა საკმაოდ დიდი და გამოწვევებით სავსე იყო, იცვლებოდნენ მსახიობები, რეჟისორები, იყო წარმატებებიც და რთული პერიოდიც, ძველ თაობებს ახლები ცვლიდნენ, თუმცა ერთი რამ, მაყურებლის სიყვარული,

ბევრი ტაში და ემოციებით სავსე მსმენელი უცვლილი რჩებოდა. თეატრის კედლებში 80 წლიანი მოღვაწეობის, უმნიშვნელოვანესი ისტორია დაიწერა, სწორედ მადლობის ნიშნად სიმბოლურად, საიუბილეო ღონისძიებაზე, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ გიორგი გეგეჭკორმა ღვაწლმოსილი ხელოვანები დააჯილდოვა.

გრიგოლ კოსტავას სახელობის ჯილდო, გადაეცა მსახიობ ვლადიმერ კენჭოშვილს.

მედეა ჩახავას სახელობის ჯილდო, მსახიობ, ,,საზღაპრეთი2"-ის რეჟისორს იზოლდა ნიავაძეს გადაეცა.

ბოლნისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, რეჟისორ ლაშა ნოზაძეს, ზურაბ ხვედელიძის სახელობის ჯილდო გადაეცა.

ქართული თეატრის ამაგდარის წოდებებით დაჯილდოვდნენ თეატრის ღვაწლმოსილი თანამშრომლები: მსახიობი რევაზ მუშკუდიანი, მსახიობი ნათელა თარხნიშვილი, თეატრის ყოფილი დირექტორი ნანა დევნოზაშვილი, კომპოზიტორი კახა ცაბაძე, მხატვარი პაატა მძინარიშვილი, ქორეოგრაფი ზურაბ გუგუშვილი, ხმის ოპერატორი სტანისლავ ჩულუხაძე.

,,მე მომსწრე ვარ ამ თეატრის აღიარების, თუ რა წარმატებები ჰქონიათ მათ. ჩემს გვერდით მუშაობდნენ უნიჭიერესი რეჟისორები, მსახიობები.

მე მინდა ყველას მივულოცო საიუბილეო თარიღი და კიდევ ბევრი წარმატება ვუსურვო", აღნიშნა კულტურის სახლის ყოფილმა დირექტორმა ნანა დევნოზაშვილმა.

დავით შერაზადიშვილს „ქართული თეატრის ქომაგის" წოდება მიენიჭა

ბოლნისელი მაყურებლისთვის ნიჭიერი მსახიობები დიდი სიყვარულით ქმნიდნენ დაუვიწყარ თეატრალურ სახეებს. იდგმებოდა არაჩვეულებრივი სპექტაკლები, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით კი დასს საშუალება ჰქონდა ბოლნისის და საქართველოს სახელი საზღვრებს გაერთ არაერთხელ გაეტანა. თეატრის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ბოლნისი პირველი მუნიციპალიტეტია, რომლის მერიც დავით შერაზადიშვილი თეატრის ქომაგის წოდებით დაჯილდოვდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ 2019 წელს დავით შერაზადიშვილს „წლის საუკეთესო თეატრალური მერის" წოდებაც მიანიჭა.

"მსურს, მადლობა გადავუხადო თეატრალურ საზოგადოებას „საქართველოს თეატრის ქომაგის წოდების" მონიჭებისთვის, ეს ჩემთვის დიდი პატივია. ბოლნისის თეატრი უკვე 80 წელია ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარების საქმეში დიდ როლს თამაშობს. ამ სცენამ თეატრალურ ხელოვნებას არაერთი თაობა აზიარა. ბოლნისის თეატრს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს თითოეული ჩვენგანისთვის, რადგან თეატრის დასში ხშირად ვხედავდით და ვხედავთ ბოლნისისთვის ძვირფასსა და საყვარელ პიროვნებებს, ქალაქის კოლორიტებს, ადამიანებს, რომლებმაც ჩვენს მუნიციპალიტეტზე წარუშლელი კვალი დატოვეს. ბოლნისის თეატრი ეს მხოლოდ სახელწოდება არაა, ბოლნისის თეატრი თავის თავში აერთიანებს ღირებულებებს, რომლითაც ჩვენ ძალიან ვამაყობთ - ტოლერანტობა, სტუმართმასპინძლობა, ერთმანეთის გვერდში დგომა ქვეყნის საკეთილდღეოდ - ეს ის იდეალებია, რითაც ჩვენი მუნიციპალიტეტი გამოირჩევა. მთელი გულით მსურს, ჩვენს საამაყო თეატრს წარმატებები ვუსურვო. ჩვენი დასი განსაკუთრებით უყვარს მაყურებელს და ეს დიდი სიყვარული ნათლად ადასტურებს თეატრის პოპულარობასა და მნიშვნელობას", - განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა

საიუბილეო თარიღი, ბოლნისის თეატრმა, სიმბოლურად მაყურებლისთვის ერთ-ერთი საყვარელი სპექტაკლით, უილიამ შექსპირის „ჰამლეტით" აღნიშნა, ლაშა ნოზაძის რეჟისურით, ბოლნისის თეატრალურმა დასმა სპექტაკლი განსხვავებული ინტერპრეტაციით ითამაშა, ინტერაქციული დადგმა, განსხვავებული სცენოგრაფია და მსახიობების გამორჩეულმა შესრულებამ კლასიკურ პიესას პოსტმოდერნისტული ელფერი შესძინა.

,,ჩვენ, ბოლნისელებს, გვაქვს ბედნიერება გვყავდეს თეატრალური დასი, რომელიც რვა ათეული წელია მაყურებელს მეგზურობას უწევს სხვადასხვა სამყაროში და ამჯერადაც, დიდი მსახიობული ოსტატობით, ლაშა ნოზაძის რეჟისორობით სცენაზე გააცოცხლეს უილიამ შექსპირის „ჰამლეტი". გულით ვულოცავ ჩვენს თეატრს იუბილეს, 80 წლის წინ ჩამოყალიბებულმა დასმა სწრაფად და ღირსეულად დაიმკვიდრა საკუთარი ადგილი კულტურულ ცხოვრებაში,"- ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის მაჟორიტარი საქართველოს პარლამენტში გოგი მეშველიანი.

დიდი წარსულისა და ღირებულებების მატარებელი თეატრის სიმბოლოდ, ღონისძიების დასასრულს, კულტურის სახლის შესასვლელში საზეიმოდ გაიხსნა ვარსკვლავი „ბოლნისის თეატრი 80".

,,1942 წელს პირველი სპექტაკლი დაიდგა და მას შემდეგ ეს ჯაჭვი არ გაწყვეტილა, აქ უამრავმა თაობამ იშრომა, იღვაწა, სამწუხაროდ ძალიან კარგი ადამიანები ვინც ამ ისტორიას ჰქმნიდნენ გამოგვაკლდნენ და დღეს ჩვენს გვერდით აღარ არიან, მაგრამ არიან ახალგაზრდები, უამრავი ცვლილება მოხდა მაგრამ ისტორია არ იცვლება, ისტორია გრძელდება და დღეს ბოლნისის თეატრი ზეიმობს 80 წლის იუბილეს", -განაცხადა რეჟისორმა ლაშა ნოზაძემ.

ბოლნისის თეატრი ქართული თეატრის ისტორიაში 1942 წლიდან ჩნდება

ბოლნისის თეატრი 80 წლისაა

1942 წლის 25 თებერვალს, ქ. ბოლნისის სცენისმოყვარულთა დასი მაყურებლის წინაშე წარსდგა პირველი სპექტაკლით– ალექსანდრე ყაზბეგის „არსენა“, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა. აღნიშნულმა წამოწყებამ დასაბამი დაუდო ქ. ბოლნისში ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებას. რომლის დამფუძნებლები იყვნენ ქართული თეატრალური ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები:

სევერიან მიხელიძე და (მეუღლე) თამარ ხატელიშვილი.იმ დროინდელ დრამწრეში მოღვაწეობდნენ: ვახტანგ რეხვიაშვილი, ვლასი და გედევან ახვლედიანები, მიხეილ გაფრინდაშვილი, ვახტანგ კერესელიძე, პ.ლოლაძე, კოტე ჩალაძე, პელაგია ჟვანია, გრიშა ლაბაძე, ვახტანგ მიხელიძე, მიხეილ გაბიძაშვილი და სხვანი. სულ მალე დასს შეუერთდა მიხეილ მგალობლიშვილი, როგორც დრამწრის ხელმძღვანელი და კულტურის სახლის დირექტორი(1944–50წ.),მისი ხელმძღვანელობის პერიოდში დრამწრემ პროფესიულ დონეს მიაღწია. ქართული თეატრის ბოლნისში დაფუძნებას განსაკუთრებული მხარდაჭერა გამოუცხადა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრმა, რომელმაც კონსულტანტის როლი იკისრა. ბოლნისის დრამწრის სპექტაკლებში მონაწილეობდნენ თბილისიდან მოწვეული სახელოვანი მსახიობები. 1952 წლიდან დრამწრეს სათავეში ჩაუდგნენ მიხეილ გაბიძაშვილი და ვახტანგ მიხელიძე. 1990 წლამდე ამ ორმა ხელოვანმა ღირსეულად ატარა თეატრის ხელმძღვანელის საპატიო მისია. 1960 წელს სპექტაკლის ვ.კანდელაკის „ამაღლებული სოფელი“ (რეჟისორი:მ.გაბიძაშვილი), ჩვენების შემდეგ,სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებით ბოლნისის

თეატრს მიენიჭა სახალხო თეატრის საპატიო წოდება.ხოლო1960 წლის 8 მაისს მოხდა სახალხო თეატრის გახსნა სპექტაკლით ა.ცაგარელის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“(რეჟისორი მ.გაბიძაშვილი). 1967 წელს ქ.თბილისში კ.მარჯანიშვილის სახ.აკადემიური თეატრისა და მოსკოვის კრემლის თეატრის სცენებზე (პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“–რეჟისორი – მიხეილ გაბიძაშვილი, კონსულტანტი– გრიგოლ კოსტავა),ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ თეატრმა პირველად მოიპოვა რესპუბლიკისა და საკავშირო ფესტივალების ლაურეატის წოდება,ოქროს მედალი და ფასიანი საჩუქრები.

1952–1970 წლებში ნიჭიერი მსახიობები დიდი სიყვარულით ქმნიდნენ, ბოლნისელი მაყურებლისთვის დაუვიწყარ თეატრალურ სახეებს. აღსანიშნავია სახალხო თეატრში დადგმული საეტაპო სპექტაკლები: „ქართლის ჩირაღდნები“, „ყვარყვარე თუთაბერი,“ „თავმჯდომარე ლურჯა ცხენზე.“ სპექტაკლების სიუხვით გამოირჩეოდა 1979–80 წლის სეზონი,როცა თეატრმა ოთხი სპექტაკლი შესთავაზა მაყურებელს: „უსაშველო მაშვლები“, „მზე ნეკერჩხლის ტყეში“, „ღირსეული სასჯელი“, „ნისლიანი დღეები“,

1980 წელს სახალხო თეატრთან დაარსდა ბავშვთა და მოზარდთა თეატრ–სტუდია მსახიობ იზო ნიავაძის ხელმძღვანელობით.

1985 წელს დაიდგა მთვარაძის „სახსოვარი“(რეჟ.ვ.მიხელიძე),სპე ქტაკლი და მსახიობი, საკავშირო ფესტივალის საპატიო წოდებით დაჯილდოვდა.

სპექტაკლის დასადგმელად 1988 წელს მოწვეული იქნა რეჟისორი ზურაბ ხვედელიძე. ბოლნისის თეატრისთვის დაიწყო ახალი ეტაპი. იდგმებოდა არაჩვეულებრივი სპექტაკლები, ხოლო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ხელსშეწყობით დასს საშუალება ეძლეოდა, ბოლნისისა და საქართველოს სახელი, თავისი შემოქმედებით საზღვრებსგარეთ გაეტანა.

1990–2000 წლეში თეატრს ბევრი ახალი მსახიობი შეუერთდა.

1996 წელს საქართველოს სახალხო თეატრების რესპუბლიკურ ფესტივალზე „გურჯაანი–96“ სპექტაკლი „მუსუსი“ საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ იქნა დასახელებული,

2001 წელს დაიდგა ა. გეწაძის“ორად გაყოფილი ცრემლი“(რეჟ.ზ.ხვედელიძე) რომელიც მიეძღვნა ბოლნისის თეატრის 40 წლისთავს.იუბილესთან დაკავშირებით ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ მსახიობები:ნუგზარ გაფრინდაშვილი,ნუგზარ ერისთავი, ედუარდ რეხვიაშვილი,ხოლო ღირსების მედლით დაჯილდოვდნენ ნუგზარ ქითანავა და ვლადიმერ კენქოშვილი. ზურაბ ხვედელიძე ბოლნისში მოღვაწეობდა 1988–2020 წლებში,მან ზემოთ ხსენებული სპექტაკლების გარდა თეატრში დადგა:გიორგი ერისთავის „გაყრა“,რაფიელ ერისთავის„ჯერ დაიხოცნენ და მერე იქორწინეს“,ბასა ჯანიკაშვილის „მშვიდობით თემურ“, „სულიკო“,ლაშა ბუღაძის „ნუგზარი და მეფისტოფელი“,ვახტანგ ანდიაშვილის „პენტერაფობია“,თამაზ მეტრეველის „სუპერქართველები“,დათო ტურაშვილის „ორი კუნძული შავ ზღვაში“,ნინო მირზიაშვილის „აივანი“, თამრი ფხაკაძის „გაფრენა“,ალექს ჩიღვინიძის „სიკვდილის დღის საჩუქარი“.

ამ წლების განმავლობაში თეატრში მუშაობდნენ სხვადასხვა რეჟისორები, ხოლო 2005 წლიდან თეატრში მოწვეული იქნა ახალგაზრდა რეჟისორი ლაშა ნოზაძე,რომელმაც ბოლნისელების დიდი სიყვარული დაიმსახურა. მისი დადგმული სპექტაკლები და მასობრივი სანახაობები, დახვეწილი რეჟისორული გააზრებით და მხატვრული ხერხებით გამოირჩევა.მისი ნამუშევრებია: „ზევით-ქვევით“, „ამაღლება“, „სხივათვე“ , „კრიტი“, „რომეო და ჯულიეტა“, „ბოვნისი, ეკატერინენფელდი, ლუქსემბურგი, ბოლნისი“, „ჰამლეტი“ და სხვა . 2020 წლიდან კი ბოლნისის თეატრს ხელმძღვანელობს დრამის რეჟისორი–მაგისტრი ლაშა ნოზაძე.

გაზეთი ,,ბოლნისი“ ულოცავს ამ მნიშვნელოვან თარიღს ბოლნისის თეატრს და წარმატებებს უსურვებს. მსახიობს და რეჟისორს იზოლდა ნიავაძეს კი მადლობას ვუხდით ჩვენი საყვარელი თეატრის შესახებ ინფორმაციის მოწოდებისთვის.

„ჩემი შემოქმედება ცხოვრებისეული, გულიდან წამოსულია“ - ლექსებში გადმოცემული განცდები

„ამ ქვეყანაზე ყველაფერი წარმავალია, გარდა შენი ადამიანობისა, რომელიც რჩება, ვცდილობ ისე ვიცხოვრო, უკან მოხედვის არ შემრცხვეს. ცხოვრების ძირითადი კრედო სწორედ მეგობრობა, სიყვარული და ურთიერთპატივისცემაა. ჩემი შემოქმედება ცხოვრებისეული, გულიდან წამოსულია“ - „გაზეთი ბოლნისი“ სხვა კუთხით გაგაცნობთ ბოლნისელ ახალგაზრდას ლევან ფრუიძეს, რომელიც არც თუ ისე დიდი ხანია განცდებს, სიხარულს, ტკივილს და საფიქრალს ლექსებით გადმოსცემს. თუ სულში პოეზია გინთია, პროფესიას არ აქვს მნიშვნელობა, ეს ნიჭია, რომელიც ადამიანის გონებაში მწიფდება, ფესვებს იდგამს და დრო სჭირდება, რომ იფეთქოს, ლევანის შემთხვევაშიც ასე მოხდა, მისთვის უცნაური რამ, რომელიც შინაგან ხმას გავდა, გვიან მოვიდა, სიტყვებს რითმა მოჰყვა, სტრიქონს ახალი სტრიქონი, ასე დაიბადა და შეიქმნა მისი ლექსები.

„მწერლობა პროფესია არ არის, ის ბედისწერაა, ნიჭია, რომელსაც ვერ გაექცევი, მე ბოლნისში დავიბადე, ეს ქალაქი ჩემი სახლია, მიყვარს ყველა კუთხე-კუნჭული, დავამთავრე პირველი საჯარო სკოლა, ბავშვობაში არასოდეს დამიწერია ლექსი, თუმცა ძალიან მიყვარდა მხატვრული ლიტერატურა, პოეზია, რაც ჩემი პედაგოგის მაგული გაბრიჭიძის დამსახურებაა, არ მახსენდება არცერთი ღონისძიება, სადაც არ მიმეღო მონაწილეობა, ამ კუთხით აქტიური ბავშვი ვიყავი“.

-ლევან, როდის დაიწყე ლექსების წერა?

-2005 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგებში ვმსახურობდი, ვიყავი სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ხელმძღვანელ პოზიციაზე, მე ასეთი ვარ, დაკისრებულ მოვალეობას დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები, ბოლომდე ვიხარჯები, მიწევდა ღამეების თენება, რამაც ჯანმრთელობის პრობლემა შემიქმნა, ამიტომ მომიწია სამსახურიდან წამოსვლა. ამ პერიოდს პანდემია დაემთხვა, ჩემმა გონებამ დაისვენა და აი მაშინ მოვიდა მუზა.

-რა შინაარსისაა შენი პირველი ლექსი?

-როგორც აღვნიშნე პანდემია იყო, ჩაკეტილები ვიყავით, სამსახურის გარეშე, თითქოს მარტო დავრჩი. მიძინებულმა ნიჭმა გაიღვიძა, ვერ დავიძინე, რაღაც არ მასვენებდა, გონებაში რაღაც ფრაზები მოდიოდა, ირითმებოდა, თუმცა არ მიფიქრია, რომ ლექსების წერა შემეძლო, მუზა მეორე დღესაც მოვიდა, შინაგანი ხმა გავრითმე, გავაშალაშინე და ამჯერად უკვე ტელეფონში მოვინიშნე, პირველი ლექსი სწორედ პანდემიას, უიმედობას ეკუთვნის.

უიმედობის შემიპყრო განცდამ,
ჩემი ფიქრები ზეცამდე ამაქვს,
ამქვეყნად მხოლოდ უფალმა იცის,
გულით რამხელა ტკივილი დამაქვს.
ცხოვრების გზაზე ბევრმა გამწირა,
ბევრმაც დამიწყო კუდის ქიცინი,
როცა მარტო ვარ მწარედ ვტირივარ,
სხვის დასანახად მაინც ვიცინი.
ვინც გაღიმებულ სახეს გიჩვენებს,
ის შეიძლება ზღვა დარდით დადის,
რადგან გულიდან ნადენი ცრემლი,
თვალის ჭრილამდე არასდროს ადის.
ცა დაიქუხებს, წვიმა წამოვა,
ყველას ასველებს, არავის არჩევს,
წვიმის წვეთები სახეს მისველებს,
სახეზე ცრემლს კი ვერავინ მამჩნევს.

-არცთუ ისე დიდიხანია, რაც წერ, რამდენი ლექსი გაქვს დაწერილი და ძირითადად რაზეა შენი შემოქმედება?

-ჩემი ლექსები ცხოვრებისეულია, გულიდან წამოსული. თითოეული ადამიანობაზე, მეგობრობაზე, ერთგულებაზე, გაუტანლობასა და ყოველდღიურ ყოფაზეა. ის რაც სიტყვებით შეიძლება ვერ ვთქვა, სწორედ ლექსებით გადმოვცემ.

-ლევან, შენს ლექსებში განსაკუთრებული სიყვარული იგრძნობა სამშობლოს მიმართ, რას ნიშნავს შენთვის სამშობლო?

-კითხვაზე, „რა არის სამშობლო?“ ნოდარ დუმბაძის სიტყვებს მოვიშველიებ - „სამშობლო ხაჭაპური როდია, რომ გულიდან მარტო ყველი გამოჩიჩქნო, ჭამო და ქერქი გადაყარო, სამშობლო ისაა, თავის ყველიან, ქერქიან, ნახშირიან, მტვრიანად, რომ შეჭამ და მოინელებ“. აი ესაა სამშობლო, რომლის გამო მზად ხარ ყველაფრისთვის. ჩემს ლექსებში კარგად ჩანს ჩემი სიყვარული ქვეყნის, დედა ეკლესიის და სარწმუნოების მიმართ.

-საზოგადოება თუ იცნობს შენს შემოქმედებას და როგორ შეხვდნენ?

-ლექსებს სოციალურ ქსელში ვანთავსებ, როცა პირველი ლექსი ავტვირთე, დიდი გამოხმაურება მოჰყვა, დადებითი კომენტარები, ბევრი გაოცდა, არ ელოდა. ხშირად შეკვეთილი ლექსებიც დამიწერია მეგობრებზე, ნათესავებზე, რომ არა ნიჭი, ლექსის წერას ნამდვილად ვერ შეძლებ, არის დღე, როცა სამი-ოთხი ლექსი დამიწერია, ხან კვირებიც გადის და სათქმელს თავს ვერ ვუყრი.

-გარდა სოციალური ქსელისა, არ გიფიქრია ფართო მკითხველს გააცნო ლექსები?

-ვინაიდან ჩემი ლექსები ცხოვრებისეულია და შეიძლება აქედან ბევრი რამ ისწავლო, გაითვალისწინო, სწორედ ამიტომ მინდა მოვაწყო საღამო, როგორც რიგითი ბოლნისელის შემოქმედება გავაცნო ახალგაზრდებს და დაინტერესებულ ადამიანებს.

-სამომავლო გეგმებზე გვიამბე, როგორც ვიცით წიგნის გამოცემასაც ფიქრობ.

-მინდა ჩემმა ლექსებმა მზის სინათლე იხილონ, დაახლოებით 150 ლექსი მაქვს დასაბეჭდად გამზადებული, თუმცა ყველაფერი თანხებთანაა დაკავშირებული, ლექსები სპონსორის მოლოდინშია, მოფიქრებული მაქვს ყდის დიზაინიც, აუცილებლად უნდა იყოს სიონის საკათედრო ტაძარი, ეს ჩვენი სიძლიერის სიმბოლოა, კუთხეში კი ჩემი პორტრეტი თვალსაჩინოებისთვის. ეს არ არის ახირება, უბრალოდ დიდი სურვილია და ოცნება, ბოლნისელებს ჩემგან დარჩეთ სახსოვრად.

მადლობა უფალო ყოველი დღისათვის,
იმედით მევსება გული და გონება,
ლოცვაში შემოგთხოვ ოჯახის სიკეთეს,
არ მინდა ფული და არ მინდა ქონება.
მინდა რომ განზრახვა არ მქონდეს ბოროტი,
ყველას ვეფერო და არავინ ვატირო,
სუსტი არ დავჩაგრო, გლახაკს არ დავცინო,
ჩემი საქციელით გული არ ვატკინო.
მოვლენილ განსაცდელს მინდა რომ გავუძლო,
ცოდვილმა კვლავ ცოდვა არ მინდა ვიტვირთო,
გულით რომ ვილოცო, გონებით ვიფიქრო,
გულწრფელად ვიცინო, არასდროს ვიტირო.
შემინდე უფალო თუ რამე შევცოდე,
ცოდვილიც ვბედავ და სათხოვარს გიგზავნი,
როდესაც დაცემულს აღარ მაქვს იმედი,
ზეციდან საშველად ანგელოზს მიგზავნი.
როდესაც ზეცაში სამსჯავროს წარვსდგები,
ვეცდები უფალთან პირველი შევიდე,
მუხლმოდრეკილი ჩურჩულით გავუმხელ,
ცოდვილი მოვედი, უფალო შემინდე.

-მადლობა ლევან საინტერესო საუბრისთვის, წარმატებებს და ოცნების ასრულებას გისურვებთ.

მაგდა დევნოზაშვილი

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ბოლნისის ორგანიზაციამ საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია გამართა

ქალაქ ბოლნისის მე-5-ე საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფესიული კავშირის ბოლნისის ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია გაიმართა. შეხვედრას ორგანიზაციაში გაწევრიანებული პედაგოგები ესწრებოდნენ, რომლებმაც ხელმძღვანელი პირებისგან მოისმინეს ანგარიში სპმთპ-ის ბოლნისის რაიონული ორგანიზაციის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ და გაეცნენ მომდევნო 4 წლის სამოქმედო გეგმას.

შეხვედრაზე ასევე გაიმართა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ბოლნისის რაიონული ორგანიზაციის წევრების დაჯილდოება პროფკავშირულ საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. კონფერენციის ბოლოს კი ყრილობის დელეგატებმა ხმათა უმრავლესობით მეორე ვადით, (4 წლით) ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტზე კვლავ ნანული მეტრეველი დაასახელეს.

,,ჩვენ ორგანიზაციაში 1056 პედაგოგია გაწევრიანებული. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თითოეულ მათგანს მადლობა გადავუხადო ნდობისთვის. ბოლნისის ორგანიზაცია ზრუნავს თითოეული წევრის პროფესიული ზრდისთვის, მათი სასერთიფიკაციო გამოცდების მოსამზადებლად (სტატუსის ასამაღლებლად), შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი უფლებების და ინტერესების დასაცავად. ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ ყველა პედაგოგს აქტიური საქმიანობის განხორციელებაში", - აღნიშნა ბოლნისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ნანული მეტრეველმა.

ბოლნისში აკაკი ქუქჩიშვილის სახელობის ტურნირი ჩატარდა

სპორტის დამსახურებული ოსტატის, ღირსების ორდენის კავალერის, ათობით ათასი სპორტსმენის, ევროპის, მსოფლიოს და მაშინდელი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის აღმზრდელის, ბოლნისის კოლორიტი ადამიანის, თავისუფალ და ქართულ ჭიდაობაში ისტორიის შემქმნელის, აწ გარდაცვლილი აკაკი ქუქჩიშვილის სახელობის მემორიალურ ტურნირს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მხარდაჭერით ჩაეყარა დღეს საფუძველი. ბოლნისის ძიუდოს დარბაზში, ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში საქართველოს რამდენიმე ქალაქისა და სოფლის 14 გუნდი 22 წონით, ორ ასაკობრივ კატეგორიაში სპეციალურად დაწესებული თასის მოსაპოვებლად ასპარეზობდა.

აკაკი ქუქჩიშვილი იყო მასწავლებელი, რომელიც აღსაზრდელში აყალიბებდა ფიზიკურ და სოციალურ ჰარმონიას, რუდუნებით ხვეწდა შეგირდის შესაძლებლობებს და გზას უკაფავდა მაღალი სპორტული მწვერვალებისკენ, მას ათასობით ახალგაზრდის ფორმირებაში მიუძღვის წვლილი. მუხლჩაუხრელად შრომობდა იმ შედეგისთვის, რასაც შემოინახავს ბოლნისის სპორტის ისტორია. მან არაერთი ახალგაზრდა გაიყვანა ხალიჩაზე საასპარეზოდ და აზიარა სპორტსმენის ტიტულს. მთელი ცხოვრება მიუძღვნა ბოლნისში თავისუფალი და ქართული ჭიდაობის განვითარებას. 1964 წელს დააარსა პირველი სექცია და მას შემდეგ უამრავი ჯილდო, მედალი, სიგელი აქვთ მოპოვებული მის აღსაზრდელებს.

ადამიანი, რომელიც მთელ ქალაქს უყვარდა, სპორტსმენი, რომლის სკოლაც არა მხოლოდ პროფესიონალურად ხვეწდა თაობებს, არამედ ცხოვრების სხვა გაკვეთილებსაც აზიარებდა. კაცი, რომლის ცხოვრებაც და მოღვაწეობაც ახალგაზრდების აღზრდა-განვითარებას ემსახურებოდა, დამსახურებული ღვაწლისთვის 80 წლის ასაკში ღირსების ორდენით დააჯილდოვეს.

ბოლნისის კოლორიტი, სპორტის ბერმუხა, 86 წლის ასაკში კორონავირუსით გარდაიცვალა. ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მიზნად ისახავს შემდეგ წლებში მიეცეს საერთაშორისო სახე, რათა ბოლნისელი სპორტის დამსახურებული ოსტატის სახელი არა მარტო საქართველოში, უცხოეთშიც გაჟღერდეს.

ნონა ხუზმიაშვილი

ანსამბლი ,,ბოლნისი“ გრანპრის მფლობელია

ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში, რიგით მე-9 მრავალდარგობრივი საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი ,,ოქროს ზაფხული“ გაიმართა, მასში ტრადიციულად, მონაწილეობას ღებულობდა ქ.ბოლნისის ზაურ ხუჯაძის სახელობის სამუსიკო სკოლის გაერთიანებული გოგონათა გუნდი და ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი ,,ბოლნისი“ ნინო დვალიშვილის ხელმძღვანელობით. ბოლნისელების გამოსვლა ფესტივალზე უმაღლესი ქულებით შეფასდა და ჟიურის გადაწყვეტილებით მთავარი პრიზის, გრანპრის მფლობელები გახდნენ. აღნიშნულ ფესტივალზე, უმაღლესი შედეგისთვის, მონაწილეებს დიპლომები და მედლები გადაეცათ.

ნინო დვალიშვილი, გუნდის ხელმძღვანელი:

-ბათუმში საერთაშორისო კონკურსზე, რამდენიმე წელია დავდივართ და ყოველთვის პირველი ადგილით ან გრანპრით ვბრუნდებით. ეს არის ძალიან დიდი სიხარული და წარმატება. სასტუმროში ესტონელებთან ერთად ვიმყოფებოდით, რომლებიც ფესტივალზე ეროვნული ცეკვებით იყვნენ წარმოდგენილი, დავმეგობრდით, მათ დიდი სურვილი აქვთ ჩვენი ქალაქის გაცნობის.

სასტუმროს ფოიეში მოვაწყვეთ პატარა ფესტივალი, ბავშვებმა შეასრულეს არა მხოლოდ ტრადიციული კლასიკური სიმღერები, არამედ საგალობლები, ევროპული სიმღერები, იცეკვეს ქართული ცეკვები. შემდეგ სტუმრებს შევასწავლეთ ტრადიციული და ლათინური ცეკვები, ვიმღერეთ გიტარის, ფანდურის თანხლებით, აკაპელას შესრულებით. ჩვენი ქორეოგრაფების მიერ შესწავლილი ცეკვები ბავშვებმა ლამაზად წარმოაჩინეს. მთლიანობაში ბოლნისი წარსდგა ძალიან მაღალ დონეზე. ყოველგვარი გადაქარბების გარეშე ბავშვებმა გააოცეს სტუმრები, ამბობდნენ, რომ მათ ქვეყანაში ასე არ ხდება. მე ვამაყობ ჩემი ქალაქით. ბევრს ვშრომობთ, რომ ყოველთვის გამარჯვებული დავბრუნდეთ საერთაშორისო თუ რეგიონული კონკურს-ფესტივალებიდან. უღრმესი მადლობა ყველას ამდენი სითბოსა და სიყვარულისთვის, რაც უფრო მეტ მოტივაციას გვაძლევს, რომ კიდევ უფრო მეტი ვაკეთოთ.

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

გარემოს დაცვის მინისტრი „არემჯის“ გარემოსდაცვითი პროგრამის ფარგლებში შესრულებულ პროექტებს გაეცნო

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე მაია ბითაძესთან და კომიტეტთან არსებული ქვემო ქართლის რეგიონში დაბინძურების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად, კაზრეთში „არემჯის“ გარემოსდაცვითი პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ სამუშაოებს გაეცნო.

რეგულარული მონიტორინგის ფარგლებში, რომელიც 2018 წლიდან გარემოს დაცვის სამინისტროსა და გარემოს დაცვის კომიტეტთან არსებული სამუშაო ჯგუფის წევრების ჩართულობით ხორციელდება, მინისტრმა „არემჯის“ მიერ, მიწერილობის ფარგლებში განსაზღვრული გარემოსდაცვითი პროექტები და ღონისძიებების შედეგები დაათვალიერა.

,,სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და გარემოს დაცვის კომიტეტის წევრებთან ერთად დავათვალიერეთ არემჯიში მიმდინარე სამუშაოები. მიუხედავად იმისა რომ ჯერ კიდევ არის გარკვეული სამუშაოები ჩასატარებელი, ვთანხმდებით რომ, ბევრი მიმართულებით არის პროგრესი. ჩვენი გარემოსდაცვითი პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომ მსხვილმა საწარმოებმა გონივრულ ვადებში შეძლონ გარემოსდაცვითი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულება. ამ საწარმოებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკაში, ყავთ დასაქმებული ძალიან ბევრი ადამიანი, ამიტომ მათი განვითარება, ისე რომ არ მოახდინონ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება, ძალიან მნიშვნელოვანია.'' - აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ.

აღსანიშნავია, რომ გარემოსდაცვითი პროგრამის ფარგლებში ქმედითი ნაბიჯებისა და კომპლექსური გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების შედეგად გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2021-2022 წლის შემოწმებას, შპს RMG Gold-ში არც ერთი დარღვევა და ნაკლოვანება არ გამოუვლენია. რაც კომპანიის წარმომადგენლების თქმით, საჯარო სექტორისა და საზოგადოებრივი ჯგუფების ერთობლივი ძალისხმევის შედეგია.

,,სამინისტროს მიწერილობის საფუძველზე განსახორციელებელი გარემოსდაცვითი ღონისძიებების ნუსხა 100-მდე პროექტს და შემარბილებელ ღონისძიებას აერთიანებდა, რაც წყლის, ნიადაგის და ჰაერის დაცვას ითვალისწინებს. პროექტების განხორციელების პროცესი წარმატებით მიმდინარეობს და უკვე დასრულების ეტაპზეა. სწორედ ამის დასტურია, ის რომ წელს "არემჯი გოლდის" შემოწმებისას, არცერთი გარემოსდაცვითი დარღვევა არ დაფიქსირებულა. კომპანია განაგრძობს საერთაშორისო გარემოსდაცვითი სტანდარტების დანერგვას და მათი გათვალისწინებით ახალი გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელებას.'' - განაცხადა არემჯის ადმინისტრაციის უფროსმა, ამირან ქართველიშვილმა.

ვიზიტის ფარგლებში სტუმრებმა მოინახულეს ისტორიული მადნეულის კარიერი და მისი #4 სანაყაროს ძირში მოწყობილი წყლის გამწმენდი ნაგებობები და წყალდამჭერი ინფრასტრუქტურა. მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობითა და უახლესი ტექნოლოგიებით აშენებული 3 გამწმენდი ნაგებობა დაიცავს მდინარეებს ფოლადაური, კაზრეთულა და მაშავერა სანაყაროებიდან ჩამდინარე თუ საწარმოდან ჩაშვებული წყლებისგან.

სამუშაო ჯგუფი ადგილზე ასევე გაეცნო რეკულტივაციის ექსპერიმენტულ პროექტს, არსებულ კუდსაცავს და მის ძირში მოწყობილ სატუმბ ინფრასტრუქტურას და საყდრისის უბანზე მოწყობილ ამტვერიანების საწინააღმდეგო ინფრასტრუქტურას.

დღის ბოლოს სტუმრებმა მოინახულეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი - „აბულმუგის სპარსული აბანო“, რომლის ადგილმონაცვლეობა „არემჯის“ საწარმოო ტერიტორიდან 2021 წელს "მოძრაობა კულტურული მემკვიდრეობისთვის" (საყდრისის კომიტეტის) ინიციატივით განხორციელდა.



სანდრო ბაზაძე ევროპის ჩემპიონია!

დარეჯან ციმაკურიძე

კომპანია არემჯის, ხარისხის კონტროლის სამსახურის კონტროლიორი

"სამსახური ჩემი ცხოვრების ნაწილია, მეორე ოჯახი, სადაც 45 წელი გავატარე." - 1976 წელს, დარეჯან ციმაკურიძემ, დაბა კაზრეთის პროფესიული სწავლების ცენტრის დამთავრების შემდეგ, მუშაობა მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში „ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში“, ცვლის კონტროლიორად დაიწყო. 19 წლის ახალგაზრდას გათვითცნობიერებული ქონდა, რომ პროფესია, რომელიც აირჩია არც ისე მარტივი იქნებოდა, თუმცა ალღო მალევე აუღო. 45 წელია საქმეს დიდი მონდომებით და პასუხისმგებლობით უდგება. ამჟამად სპილენძის გამამდიდრებელი ფაბრიკის საფილტრ საამქროში, დატვირთვის უბანზე მზა პროდუქციის (სპილენძის კონცენტრატი) კონტროლიორად მუშაობს, სადაც იღებენ სინჯებს, ავსებენ ბიგ-ბეგებს, აწყობენ მოედანზე ლოტების მიხედვით და ტვირთავენ ვაგონებზე.

„19 წლის ასაკიდან დღემდე ვემსახურები მხოლოდ კომპანია არემჯის. მაშინდელ და დღევანდელ კომპანიას შორის სხვაობა დიდია. დღეს საწარმო მეტად განვითარებულია, ინერგება და მიმდინარეობს ტექნოლოგიების გადაიარაღება. მომავალი თაობა, რომელიც აირჩევს ჩემს პროფესიას, ვურჩევ შეისწავლონ საფუძვლიანად, დაეუფლონ თანამედროვე ტექნოლოგიებს და მიაღწიონ წარმატებას. ჩემი სამსახური რთული არ არის, მაგრამ მეტ ყურადღებას და პასუხისმგებლობას მოითხოვს. მინდა მადლობა გადავუხადო კომპანია არემჯის და მის ხელმძღვანელობას, რომლებიც აფასებენ ჩემ საქმიანობას. მომავალ თაობას კი წარმატებას და კარიერულ წინსვლას ვუსურვებ.“

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.